დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი: 20-21 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 17 აგვისტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204432783

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	მ. ალექსიძის II შესახვევი №6
ფაქტობრივი მისამართი	მ. ალექსიძის II შესახვევი №6
საფოსტო ინდექსი	0193
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.bgs.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@bgs.edu.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	2609 989

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ფალავა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --- ----- ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ეკა კვაჭანტირაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599 092 555
ელ-ფოსტა	e.kvachantiradze@bgs.edu.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2022 წლის 9 ივნისის MES 8 22 0000620858 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	20-21 ივლისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ირინა დვალი
წევრი (სახელი, გვარი)	მაკა ნადარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	**სკოლის საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს:** 1. შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა სკოლის მსოფლმხედველობის გამოხატულებაა. გეგმაში ჩანს, რომ მათთვის ძვირფასია და უფრთხილდებიან საკუთარ იდენტობას, რადგან სწამთ, რომ საქართველოს მომავალი საკუთარი ვინაობის გააზრებაზე მოდის, ამასთან, გახსნილები არიან უცხოური კულტურის მიღების მიმართაც. 2. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის დღიურის ფორმა, რომელსაც თითოეული მასწავლებელი ავსებს და შესაბამისად გაკვეთილის თემა წინასწარ ცნობილია დეპარტამენტში შემავალი მასწავლებლებისათვის. 3. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა კარიერულ დაგეგმვაზე. მიზნის მისაღწევად სკოლას ჰყავს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც ძირითადად საშუალო საფეხურზე და, საჭიროებისამებრ, საბაზო საფეხურზე ხვდება მოსწავლეებს და ეხმარება მათ პროფესიების გაცნობაში, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გაცნობიერებაში, უცხოური უნივერსიტეტების შესახებ ინფორმაციის მოძიება-შერჩევაში, შემდეგ (სწავლის გაგრძელების მიზნით) უნივერსიტეტთან მოლაპარაკების წარმოებაში. აღნიშნული მიზნით გასულ, 2021-2022 სასწავლო წელს, სკოლაში მიწვეული იყვნენ უცხოური უნივერსიტეტების წარმომადგენლები. მათ მოსწავლეებს გააცნეს საკუთარი უნივერსიტეტის მიღწევები, არსებული პროგრამები. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზანსვე ემსახურება სკოლაში ,,მშობლის პროფესიული დღის“ დაწესებაც, როცა მშობლებს თავისი შვილის კლასელები მიჰყვათ საკუთარ სამსახურში და აცნობენ მუშაობის სპეციფიკას. 4. მასწავლებელთა ძლიერი და თანამშრომლობითი გუნდი, რაც აისახება დეპარტამენტების გუნდური ხარისხიანი მუშაობით მიღებულ შედეგში (სხვადასხვა სახის რესურსის შექმნა, რომელსაც გამოსცემს სკოლა: მოსწავლეთა ნამუშევრების კრებული, მასწავლებლის მიერ შექმნილი ინგლისური ენის გრამატიკის მეგზური და ა.შ.). 5. სკოლაში ფუნქციონირებს ასამბლეა-დირექტორის ყოველკვირეული შეხვედრა მოსწავლეებთან აქტუალურ თემებზე, თითოეული კლასისათვის ფიქსირებულ დროს სკოლის დარბაზში-ეს შესაძლებლობას აძლევს დირექტორს, სკოლის მენეჯმენტს მუდმივად ორიენტირებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებებზე, მათ ინტერესებზე. ამავე დროს, მოსწავლე თავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	გრძნობდეს სკოლის მნიშვნელოვან წევრად. ისინი ხმამაღლა საუბრობენ პრობლემებზე და ერთად სახავენ გადაჭრის გზებს. მოსწავლეთა და სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის გამოხატულებაა ბევრი აქტივობა, რომლებიც სკოლაში ჩატარდა: ა) საშუალო საფეხურის მოსწავლეების კინოცენტრთან თანამშრომლობა ბ) Coats- მზრუნველობამოკლებული 300-ზე მეტი ბავშვის თბილი სამოსით მომარაგება წლების განმავლობაში გ) ვეტერანების მხარდაჭერა დ) 2 ბენეფიციარი ბიჭის მხარდაჭერა-საქველმოქმედო გამოფენების მოწყობა ე) მთაწმინდის ფერდობზე ხეების დარგვა ვ) დღის ცენტრთან თანამშრომლობა ვფიქრობთ, აღნიშნულით სკოლა ემსახურება სკოლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს- მოსწავლეების ღირსეულ პიროვნებად და მოქალაქედ ფორმირებას. 6. სკოლა ყოველთვიურ ანგარიშს აკეთებს საკუთარი საქმიანობის შესახებ და ეს სიახლეები ეცნობა მშობლებს დირექციასთან ყოველთვიურ შეხვედრაზე. იგივე ინფორმაცია ეგზავნებათ სკოლის თანამშრომლებს, მშობლებს, მოსწავლეებს ელექტრონულ ფოსტაზე და ასევე ხელმისაწვდომი და თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული სკოლის ჰოლში საინფორმაციო ყუთში. 7. სკოლა ჩართულია „რებრენდიგნის“ პროცესში, რათა გარე დამოუკიდებელი შეფასების საფუძველზე გაარკვიოს საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარე. აღნიშნული პროცესი დასრულება ივლისის ბოლოს. 8. სკოლა გარკვეული პერიოდულობით ატარებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ცრუ განგაშს. მანამდე კი მოსწავლეებს, მათ დამრიგებლებს, სხვა თანამშრომლებს მიეწოდებათ დეტალური ინსტრუქტაჟი საგანგებო სიტუაციაში ქცევებისა და მოქმედებების შესახებ. ყოველჯერზე სკოლა ზომავს საკუთარ შედეგს. 9. სკოლა მუდმივად ეძებს ადამიანური რესურსის (მაგ. საქმეთა მმართველისთვის, იურისტისთვის) პროფესიული განვითარებისათვის საინტერესო შემოთავაზებებს და მზაობას გამოხატავენ აქტიურად ჩართონ თანამშრომელი და სკოლის ხარჯით დააფინანსონ ასეთი აქტივობა, გასულ წლებში ერთ-ერთი ასეთი შემოთავაზება იყო საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისგან, შესაბამისად, სკოლის ბიბლიოთეკარმა გაირა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი-,,სასწავლო დაწესებულებების და რეგიონალური ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკართა ტრენინგი“.

დაწესებულების მისია	სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლის საკლასო ოთახებში არ განთავსდება 252 მოსწავლეზე მეტი
	☐	**252 მოსწავლე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 260	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	**შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართულმა სკოლამ წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა**, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს შემდეგ ნაწილებს: 1. მისია; **2. სასწავლო პროგრამის ზოგადი აღწერა: შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართულმა სკოლა** სწავლა-სწავლების პროცესს ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის, ბრიტანული საერთაშორისო კურიკულუმის მიმართულებების IGCSE და GCE (A Level, რომელიც შედგება ორი საფეხურისგან - As და A2) საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ქართული და ბრიტანული საერთაშორისო პროგრამის შეჯერებით კმაყოფილდება როგორც ქართული კანონმდებლობის, ისე ბრიტანული საერთაშორისო პროგრამის მოთხოვნები. **სკოლა წარმოადგენს Pearson Edexcel-ის ბრიტანული საერთაშორისო საგამოცდო 185 ცენტრიდან ერთ-ერთს და საქართველოში ერთადერთ რეგისტრირებულ ცენტრს.** Pearson Edexcel-ის საგამოცდო ცენტრი აღიარებულია დიდი ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემის მიერ ერთ-ერთ პრესტიჟულ და ყველაზე მსხვილ საგამოცდო ცენტრად. Pearson- Edexcel-ის ბრიტანული საერთაშორისო საგამოცდო ცენტრი ადგენს სასწავლო პროგრამებსა და საგამოცდო ტესტებს და უფლებამოსილია ჩაატაროს სასკოლო და საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდები ყველა საგანში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	აღნიშნული გამოცდების დაძლევის დამადასტურებელ დოკუმენტს საერთაშორისო აღიარება აქვს და ვალიდურია დასალეთ ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიაში. IGCSE-ით (International General Certificate of Secondary Education) გათვალისწინებული პროგრამის შინაარსის წარმატებით დაძლევისა და გამოცდის ჩაბარების შემდეგ მოსწავლეები იღებენ საშუალო განათლების დამადასტურებელ ბრიტანულ საერთაშორისო სერტიფიკატს (ატესტატს). მოსწავლეები საერთაშორისო საგამოცდო პროგრამის საატესტატო გამოცდების ჩაბარებას იწყებენ IX კლასიდან და X კლასის ბოლოს ასრულებენ. XI და XII კლასებში კი GCE-ის ანუ A Level-ის საუნივერსიტეტო საგამოცდო პროგრამისათვის მოსწავლეები სკოლის მიერ შეთავაზებული საგნებიდან ირჩევენ 3 ან 4 (მინიმუმ სამ) საგანს. საგნები ბარდება ორ დონედ (As – საგნის პირველი დონე, A2 – საგნის მეორე დონე). სკოლის მოსწავლეები IGCSE საკვალიფიკაციო გამოცდას 7 (შვიდ) საგანში აბარებენ. ეს სავალდებულო საგნებია: ინგლისური ენა, მათემატიკა, რუსულ ენა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ისტორია/ გეოგრაფია (ეს ორი უკანასკნელი არჩევითია: მოსწავლე ირჩევს ერთს). GCE ანუ A Level წარმოადგენს უცხოეთის საუნივერსიტეტო მისაღებ საგამოცდო პროგრამას. ამ გამოცდების შედეგების მიხედვით კურსდამთავრებულები, სურვილისამებრ, ირიცხებიან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში. იმისთვის, რომ მე-9 კლასისთვის მოსწავლეებს ჰქონდეთ გამოცდების დაძლევისთვის საჭირო საგნობრივი კომპეტენცია, ქართულ-ინგლისურად, ინგლისურად ან შესაბამის უცხოურ ენაზე საგნების სწავლება იწყება ეტაპობრივად. 3. **აკადემიური კალენდარი** - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია და დანართის სახითაც ერთვის აკადემიური კალენდარი, რომელიც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და ეროვნულ სასწავლო გეგმას; **4. სასკოლო საათობრივი ბადე** - სკოლას არჩეული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საათობრივი ბადის მესამე მოდელი, რაც დასაბუთებულია სკოლის მიზნებითა და ხედვით, შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ამგვარ თანხმობას სკოლა სამინისტროსგან იღებს 2016 წლიდან მოყოლებული. რაც იმას მოწმობს, რომ ამ მიმართულებით სკოლას გარკვეული გამოცდილება აქვს. **5. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი სავალდებულო /არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება** - ქიმია (XI და XII კლასებში, ინგლისურ ენაზე), ფიზიკა (XI და XII კლასებში, ინგლისურ ენაზე) ქართული ცეკვა (I-V კლასები), დიალოგები (I-XII კლასები), მეტყველების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კულტურა (I – III კლასები), ისტორია (IX – X კლასები, ინგლისურ ენაზე), გეოგრაფია (IX – X კლასები, ინგლისურ ენაზე), გეოგრაფია (V – VIII კლასები, ინგლისურ ენაზე), ისტორია (VI – VIII კლასები, ინგლისურ ენაზე); **6.საგანმანათლებლო რესურსები** - ძირითადი სახელმძღვანელოები (ქართულენოვანი გრიფირებული/ძირითადი) და ინგლისურენოვანი (პროგრამული); რესურსები ორგანიზებულია კლასის, საგნის, სახელმძღვანელოს დასახელების, ავტორის/ავტორთა ჯგუფის, გამომცემლობისა და გამოცემის წლის მიხედვით. ცალკე ცხრილებად არის მოცემული ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი დამხმარე ლიტერატურა / სახელმძღვანელოები საგნების მიხედვით. რესურსები მოიცავს ასევე ელექტრონულ და ბეჭდურ თვალსაჩინოებასა და რესურსებს. **7.მოსწავლეთა შეფასების სისტემა** - სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასებას. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევა ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით; **8.ინკლუზიური განათლება** - სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლებისადმი საქართველოს განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. **9.სადამრიგებლო პროგრამის კონცეფცია და დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა** - სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ერთვის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, დამრიგებლის მოვალეობას, სადამრიგებლო პროგრამების მიმართულებებსა და სადამრიგებლო საათის ჩასატარებლად გამოსაყენებელ რეკომენდებულ მეთოდებს; მოცემულია ასევე კლასები და დამრიგებლები, მათი სახელები და გვარები. **10.სწავლების ენა** - სკოლაში სწავლების ენა არის ქართული, ქართული და ინგლისური; რიგი საგნები - ქართული ენა და ლიტერატურა, ლოგიკა, ჩვენი საქართველო, კომპიუტერული ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სამოქალაქო განათლება, მე და საზოგადოება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება არჩევით საგნები - სამედიცინო ბიოლოგია და მსოფლიო კულტურა, სპორტი, დიალოგები, მეტყველების კულტურა, ქართული ცეკვა - ისწავლება სრულად ქართულ ენაზე. მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ისტორი, გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, XIX და XX საუკუნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	დასავლური ლიტერატურა, თეატრალური ხელოვნება (პრაქტიკული კურსი - დრამა) - ისწავლება ქართულ-ინგლისურ ენებზე. **11.შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა სემესტრების მიხედვით -** სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმის დანართით, წინასწარ აქვს განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა სემესტრების, კლასებისა და საგნების მიხედვით (სასკოლო სასწავლო გეგმა დანართი №12 შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა სემესტრების მიხედვით); 12.დანართის სახით სასკოლო სასწავლო გეგმას ერთვის **ძირითადი სახელმძღვანელოებისა** (საგნებისა და კლასების მიხედვით) **და დამხმარე რესურსების** ჩამონათვალი (საგნების მიხედვით). 13.სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით შეთავაზებულ საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, ქართული ცეკვა, დიალოგები, მეტყველების კულტურა) წარმოდგენილია საგანმანათლებლო მომსახურების სახე (სავალდებულო /არასავალდებულო) საგანმანათლებლო მომსახურების მიზანი, საგანმანათლებლო მომსახურების შეფასების პრინციპები, მიზანი სასწავლო წლის მიხედვით, პროგრამის შინაარსი და დამატებითი რესურსი ბმულების სახით. სკოლისათვის სახასიათო ნიშანი ის არის, რომ ის გამოცდების საფუძველზე (ბრიტანული ატესტატის შემთხვევაში), გასცემს ორმაგ ატესტატს - ქართულსა და ბრიტანულს. **14.არჩევითი საგნები:** სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა (X კლასი), თეატრალური ხელოვნება (პრაქტიკული კურსი, დრამა, X კლასი) XIX-XX საუკუნეების დასავლური ლიტერატურა (XI კლასი), მსოფლიო კულტურა (XI და XII კლასები). სკოლისათვის სახასიათო ნიშანი ის არის, რომ ის გამოცდების საფუძველზე (ბრიტანული ატესტატის შემთხვევაში), გასცემს ორმაგ ატესტატს - ქართულსა და ბრიტანულს. აღსანიშნავია, რომ სწავლება მიმდინარეობს შერწყმულად: ქართულად (ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი), იგივე საგნები ისწავლება ინგლისურ ენაზე (გარდა პირველი და მეორე კლასების საგნებისა და ასევე იმ საგნებისა, რომლებიც არაა კვეთაში ბრიტანულ პროგრამასთან, მაგ. ,,ჩვენი საქართველო“) და მხოლოდ ინგლისურ ენაზე, საგნები, რომლებიც კონკრეტულ კლასებში არაა ესგ-ით გათვალისწინებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლას წარმოდგენილი აქვს 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	მუშაობდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტზე. აღნიშნული პროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა რეგრენდინგისა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვესტანდარტი 1.6) და შიდა კვლევებით მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა მათი მსოფლმხედველობის გამოხატულებაა. დირექციის განმარტებით, ისინი უფრთხილდებიან საკუთარ იდენტობას, რადგან სწამთ, რომ საქართველოს მომავალი საკუთარი ვინაობის გააზრებაზე მოდის, ამასთან, გახსნილები არიან უცხოური კულტურის მიღების მიმართაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის დირექტორის ბრძანება N01/49-21; 04.09.2021 წ. • სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წერილი MES 7 21 0000319583 02.04.2021; წერილი MES 3 17 01191068 02.10. 2017წ; წერილი MES 7 16 00928039 01.08.2016; • BGS დებულება შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში შექმნილია საგნობრივი დეპარტამენტები, რომლებიც აერთიანებს სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს. ➢ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ➢ საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი ➢ მათემატიკის და ისტ-ის დეპარტამენტი ➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დეპარტამენტი ➢ უცხოური ენების დეპარტამენტი ➢ დაწყებითი საფეხურის დეპარტამენტი ➢ ესთეტიკისა და სპორტის დეპარტამენტი თითოეულ დეპარტამენტს აქვს საკუთრი ელექტრონული პორტფოლიო, რომლებშიც მოთავსებულია შეხვედრების ოქმები და დანართები (არსებობის შემთხვევაში); თემატურ-კალენდარული გეგმები და შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	კომპლექსური დავალებები კლასების მიხედვით; შემაჯამებელი დავალებების ანალიზი; გაკვეთილის თვითშეფასების ფორმა და გაკვეთილის რეფლექსია (შევსებული). სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლის პორტფოლიო, რომელსაც სარჩევის მსგავსად წინ დაერთვის იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც დამრიგებელს უნდა ჰქონდეს თავისი კლასის პორტფოლოში. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ახლავს დამრიგებლის კონცეფცია და დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს დოკუმენტს „დამრიგებელი“. განსაზღვრულია დამრიგებლის მუშაობის ძირითადი პრინციპები, სადამრიგებლო საათის მიზნები საფეხურების მიხედვით. დოკუმენტს თან ახლავს კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმა, რომელშიც გაწერილია სადამრიგებლო საათი, თემატიკის მიზანი, მეთოდი და მონაწილე პირები. გეგმების ანალიზისას გამოიკვეთა საინტერესო თემატიკა, რომელიც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს არის მორგებული: ზაფხულის შთაბეჭდილებები; გარემოს სისუფთავეზე ზრუნვა; პანდემიის პირობებში უსაფრთხოების წესები; კეთილი საქმეების კეთებით პატივისცემას ვიმსახურებთ და ა.შ. (დაწყებითი საფეხური); პანდემიის პირობებში უსაფრთხოების წესები; ადამიანი და საზოგადოება; კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე; პიროვნული და მორალური განვითარება და ა.შ. (საბაზო და საშუალო საფეხურები). ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ინტერვიუსა და თვალსაჩინოების სახით წარმოადგინა დოკუმენტაცია სკოლაში მიმდინარე არაფორმალური განათლების შესახებ. სკოლას შერჩეული აქვს ის მიმართულება და ნიშა, რომელიც ხელს უწყობს მისიის მიღწევას. კერძოდ: **„დიალოგები“** - თანამედროვე საზოგადოებაში მოსწავლეებს უნდა მიეწოდოს ის ღირებულებები, რომლებიც მნიშვნელოვანი და ფასეულია. საგანი „დიალოგების“ ძირითადი ამოცანაა სკოლის მოსწავლეთა მულტიკულტურული თემის თითოეული წევრი აზიაროს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და დაეხმაროს პიროვნებად ჩამოყალიბების რთულ გზაზე სწორი არჩევანის გაკეთებაში; **თვის თემები** - ძირითადი ამოცანაა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში არაფორმალური განათლების გააქტიურება, მათი გაერთიანება საერთო ღირებულებების გარშემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	კითხვის საათი და შემოქმედებითი წერა - დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის გაცნობა, შეხვედრა საბავშვო მწერლებთან, შემოქმედებითი წერის პროექტები. მოსწავლეთა ინტერესისა და საჭიროების გათვალისწინებაზე მეტყველებს ყველა ის თვალსაჩინოება და მოსწავლეთა მიერ შესრულებული და შექმნილი გზამკვლევები -„აღმოაჩინე საქართველო“, შემოქმედებითი წერა - რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს მოთხრობები და გაუკეთეს ილუსტრაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • მოსწავლეთა ნამუშევრები; • დეპარტამენტების პორტფოლიოები; • სკოლის ყოველთვიური ანგარიში.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის განსაკუთრებულობას და გამოხატავს მზაობას, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, უზრუნველყოს ისინი სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლებისადმი საქართველოს განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. მას გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები და მიდგომები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩარჩო სსსმ მოსწავლეებისათვის. გეგმის ჩარჩოში დეტალურად არის გაწერილი: ჯგუფის შეხვედრის დრო, საგანთა ჩამონათვალი, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარე, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები, რომელშიც ვკითხულობთ: „სკოლის სასწავლო გეგმის სპეციფიკიდან გამომდინარე, კანდიდატ მოსწავლეებს გასაუბრება/ტესტირება უტარდებათ ინგლისურ ენასა და მათემატიკაში , ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებს - ქართულ ენასა, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • მოსწავლეთა ნამუშევრები; • დეპარტამენტების პორტფოლიოები; • სკოლის ყოველთვიური ანგარიში.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემიდან. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევა ფასდება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებით. განმსაზღვრელი შეფასება ხუთდონიანი და ათქულიანი სისტემაა. შეფასების კომპონენტებია: მიმდინარე საკლასო დავალება, მიმდინარე საშინაო დავალება და შემაჯამებელი დავალება. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე გაწერილია შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადა (გაცდენილი შემაჯამებელი დავალების შემდეგ მოსწავლის გამოცხადებიდან ერთი კვირის ვადაში). ქულათა გამოანგარიშების წესი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ ქულების გამოანგარიშების წესს. მასწავლებელთა, საგნის დეპარტამენტების პორტფოლიოს განხილვისას, წარმოდგენილი იყო კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობს იმას, რომ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობაზეა მორგებული ეს დავალებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • დეპარტამენტების პორტფოლიოები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლას შემუშავებული აქვს ,,ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკის“ დოკუმენტი. ამ დოკუმენტის V მუხლი ეხება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის სტრატეგიას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია მიეწოდებათ: ა) ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ბ) დამრიგებლის მიერ შექმნილი კლასის მშობელთა და მოსწავლეთა Facebook ან Viber-ჯგუფების მეშვეობით; გ) მშობელთა კრებებზე; დ) დამრიგებლის მიერ მშობელთან სატელეფონო საუბრის მეშვეობით; ე) „სკოლის სიახლეების შესახებ“ ყოველთვიური ელექტრონული გაზეთის მეშვეობით; ვ) სკოლის ვებგვერდის მეშვეობით; ზ) მშობელთა კლუბის წარმომადგენლების მეშვეობით; თ) სკოლის ღია სივრცეში გამოქვეყნებული ინფორმაციით; გარდა ამისა, თითოეულ კლასში მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს; მშობელთა კრებისათვის ყველა დამრიგებელი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს, რომელიც შეთანხმებულია სკოლის ადმინისტრაციასთან. ამავე დოკუმენტის VI მუხლი ეთმობა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესს. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს; ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით; სოციალური ქსელის მეშვეობით; SMS შეტყობინების საფუძველზე; საგნის მასწავლებელთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე. ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით; მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა); საგნების მიხედვით მოსწავლეთა ქცევისა და სწავლის შესახებ განმავითარებელი შეფასების ფორმით - თვეში მინიმუმ ერთხელ; სემესტრული და წლიური ნიშნების ფურცლებით, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მიეწოდება მშობელს (V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით). სკოლას გაწერილი აქვს მშობელთა მიერ მასწავლებლებთან შეხვედრის დღე (ყოველი პარასკევი). აღნიშნული რეგულაცია რომ აქტიურად მოქმედებს, ამას აღნიშნავენ მშობლები. გარდა ამისა, სკოლა ყოველთვიურ ანგარიშს აკეთებს საკუთარი საქმიანობის შესახებ და ეს სიახლეები ეცნობა მშობლებს დირექციასთან ყოველთვიურ შეხვედრაზე. იგივე ინფორმაცია ეგზავნებათ სკოლის თანამშრომლებს, მშობლებს, მოსწავლეებს ელექტრონულ ფოსტაზე და ასევე ხელმისაწვდომი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული სკოლის ჰოლში საინფორმაციო ყუთში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლა - ინფორმირებისა და კომუნიკაციის პოლიტიკა; • ინტერვიუ მშობლებთან და ადმინისტრაციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შექმნილი აქვს ზოგადი კითხვარები: მოსწავლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება, პერსონალის მიერ რესურსის შეფასება, სკოლის უსაფრთხო გარემოს შეფასება, სკოლის ხელმძღვანელების კითხვარი. გარდა ზოგადი კითხვარებისა, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები ფოკუსირებული კვლევებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროს დაინტერესდა აღნიშნული კითხვარის მიხედვით ჩატარებული კვლევით. თუ რა მიგნებები და დასკვნები გააკეთა სკოლამ და რა ცვლილებებს გეგმავს მომავალი სასწავლო წლისთვის. აღნიშნულის საპასუხოდ სკოლამ წარმოადგინა საკუთარი მოქმედება „რებრენდიგნის“ პროცესში. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით სკოლა ჩაერთო, რათა გარე დამოუკიდებელი შეფასების საფუძველზე გამოერკვია საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარე. ინტერვიურებით გაირკვა, რომ სკოლა აღნიშნულ პროცესს დაასრულებს ივლისის ბოლოს, თუმცა მათ ჰქონდათ უკვე, მიმდინარე პროცესში, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერვიურების შედეგად მიღებული გამოკვეთილი მიმართულებები, რასაც პარალელურად გაითვალისწინებენ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის „ხარისხის განვითარების მექანიზმები“; • ინტერვიუ სკოლის დირექციასთან; • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ფკალი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --- ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	---
რჩევები:	---
ხარვეზები:	---
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში. ის განთავსებულია 800 კვ.მ. მიწის ფართზე არსებულ 3-სართულიან, 1505.45 კვ.მ.-ის შენობაში, რომელიც სკოლას იჯარით აღებული აქვს მფლობელისგან, შპს ,,ჯი თი ფროფერტიზისგან“, 19 წლით, 2014-დან 2033 წლამდე სკოლას ასევე იჯარით აქვს აღებული მიწის ნაკვეთი, ფართობით 1642.00. მესაკუთრისგან, შპს ,,ჯი თი ფროფერტიზისგან“, 2014-დან 2033 წლამდე, 19 წლის ვადით. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სკოლის ეზოს.
ფაქტობრივი მისამართი	მ. ალექსიძის ქუჩა II შესახვევი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ფალი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --- ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N 01.10.13.040.065 N 01.10.13.040.016
კვ.მ.	სულ 2442 კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882022346277; 06/06/2022 • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882022346241 • ხელშეკრულება იჯარის შესახებ, 01/09/2014 • შეთანხმება №2 2014 წლის 31 აგვისტოს ხელმოწერილ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ №220662754 (03/06/2022)
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	აზომვითი ნახაზისა და დათვალიერების მიხედვით, სკოლა სამსართულიანია. მასში არის 17 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი სასწავლო ინვენტარით: სამივე დონის მერხებით; საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, კომპიუტერული ოთახი. სკოლის მფლობელობაშია 270 ინდივიდუალური მერხი. რეალურად სკოლის საკლასო ოთახებში შესაძლებელია განთავსდეს 252 მოსწავლე. ყველა საკლასო ოთახში არის სასკოლო დაფები, მასწავლებლის მაგიდები და სკამები, კარადები, ტელევიზორი და კომპიუტერი (მუშა მდგომარეობაში). ასევე შენობაში მოწყობილია ოთახები დირექციისა და სხვა თანამშრომლებისათვის, ექიმის ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, გამოცდების ოთახი, დარბაზი ცეკვისა და კარატესათვის, ბუფეტი, სველი წერტილები. სკოლის მოხმარებაში არსებული სასკოლო ინვენტარი სკოლას გადაცემული აქვს როგორც მოძრავი ნივთების შესახებ იჯარის ხელშეკრულებით, ასევე შესყიდული აქვს შპს ეგლო ჯორჯიასგან და შპს არქთრეიდისგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2012 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულება მოძრავი ნივთების იჯარის შესახებ; • ცვლილება 2012 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულებაში მოძრავი ნივთების იჯარის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ნასყიდობის ხელშეკრულება 2012 შპს არქთრეიდთან სკოლის მერხიებისა და სკამების შეძენის შესახებ • შპს ეგლო ჯორჯია - სასაქონლო ზედნადებები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპორტული აქტივობებისათვის შენობის პირველ სართულზეა 30 კვ.მ სივრცე. დირექციის განმარტებით, სივრცე გამოიყენება ცეკვისა და უკონტაქტო კარატის გაკვეთილების ჩასატარებლად, ფიზიკურ აქტივობებში ჩაბმით მოსწავლის ფიზიკური განვითარებისათვის, ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობის გაცნობიერების მიზნით. გარდა ამისა, სკოლის ეზოში მდებარეობს მინი სპორტული მოედანი (25მX12.5 მ) მწვანესაფარიანი, მაყურებლის ტრიბუნით. რომელიც წვიმიანი ამინდის შემდგომაც იძლევა აქტივობების ჩატარების საშუალებას. სკოლას შეძენილი აქვს ფეხბურთის ბურთები (ასაკობრივად სხვადასხვა ზომის). ეზოშივე გამოყოფილია გადახურული სივრცე მაგიდის ჩოგბურთისთვის, სადაც დგას მაგიდის ჩოგბურთის 1 მაგიდა. სკოლას შეძენილი აქვს 4 ჩოგანი და 10 ბურთი. ეზოში შესაძლებელია ბადმინტონის, სახტუნაო ლახტის თამაში, ტანვარჯიში, რისთვისაც შეძენილი აქვთ სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882022346241 • შპს იმედი-სასაქონლო ზედნადებები სპორტული ინვენტარის (9 ერთეული ფეხბურთის ბურთი, 6 ერთეული ბადმინტონის ვოლანი, 12 ერთეული სავარჯიშო რგოლი, 6 ერთეული ლახტი, მაგიდის ჩოგნები და ბურთები) შეძენის თაობაზე
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის მე-2 სართულზე მდებარეობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია სველი წერტილით-ონკანი ნიჟარით, გამწოვით, 2 ფანჯრით, ცეცხლგამძლე ზედაპირიანი 8 მაგიდით, კარადებით, რომლებშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ...
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --- ----- ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განთავსებულია საბუნებისმეტყველო საგნებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი, ნივთები, მულაჟები. ლაბორატორიის აღწერილობა შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანების მოთხოვნებს. ლაბორატორიაში ასევე არის კომპიუტერი და ჭკვიანი დაფა- Smart Board. ლაბორატორიის სარგებლობის წესების შესახებ შემუშავებულია ,,სკოლის სივრცეში განთავსებული ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი". საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესში ისინი იყენებენ ლაბორატორიას და ამასთან ელექტრონულ რესურსებსაც, ჭკვიან დაფას. სკოლა გარკვეული პერიოდულობით ამარაგებს ლაბორატორიას შესაბამისი ქიმიური რეაქტივებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2012 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულება მოძრავი ნივთების იჯარის შესახებ; • ცვლილება 2012 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულებაში მოძრავი ნივთების იჯარის შესახებ • ვიზუალური დათვალიერება • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,სკოლის სივრცეში განთავსებული ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი". • შპს სამაია -სასაქონლო ზედნადები რეაქტივების შეძენის თაობაზე • ინტერიუ საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: სკოლას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია, წყალი, გაზი. იგი არის თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის, შპს თბილისი ენერჯის, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის აბონენტი. შენობაში ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --- ----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ყველა ოთახში არის კონდიციონერი, რომელიც უზრუნველყოფს სეზონის შესაბამისად მიკროკლიმატის შენარჩუნებას; სკოლის შენობის პირველ და მეორე სართულებზე სველი წერტილებია ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის 3-3 განყოფილებიანი, ასევე თანამშრომელთათვის 1 ტუალეტი, ხოლო მესამე სართულზე- ბიბლიოთეკაში 2 სველი წერტილი გოგონებისა და ვაჟებისათვის და დარბაზში - 1 ტუალეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგადასახადო ანგარიშფაქტურები თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიასთან, შპს თბილისი ენერჯისთან, შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან; • ვიზუალური დათვალიერება • შპს ტექნო-ჯი- • სს ელიტ ელექტრონიქსი სასაქონლო ზედნადები • შპს სმაილი - სასაქონლო ზედნადები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკა მდებარეობს შენობის მესამე სართულზე. ბიბლიოთეკა შედგება რამდენიმე სივრცისგან: I-შეხვედრებისთვის, II-სამკითხველო, მაგიდებითა და სკამებით, 4 კომპიუტერით, III -ბიბლიოთეკარის საოფისე კუთხე და IV-ბიბლიოთეკის საცავი. ბიბლიოთეკაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული და აღრიცხული ლიტერატურა, სულ 5793 ერთეული, რომელთა შორისაა სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე ლიტერატურა რუსულ და ინგლისურ ენებზე. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა ინვენტარიზაციის წიგნი, მკითხველთა ბარათები. ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ლიტერატურა. სკოლაში შემუშავებულია ,,სკოლის სივრცეში განთავსებული ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი“, რომელშიც განსაზღვრულია ბიბლიოთეკარის მოვალეობები, მკითხველის უფლებები, სამუშაო საათები, ბიბლიოთეკის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბიბლიოთეკართან ინტერვიუთი დადგინდა, რომ მოსწავლეები დღის მეორე ნახევარში ინტენსიურად სარგებლობენ საბიბლიოთეკო რესურსით, ასევე დიდი შესვენებების დროს (2-ჯერ 20-წუთიანი) ხშირად ერთობლივ პროექტებს, დავალებებს, პრეზენტაციებს ამზადებენ ბიბლიოთეკაში აქ დაცული რესურსებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2012 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულება მოძრავი ნივთების იჯარის შესახებ; • ცვლილება 2012 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულება მოძრავი ნივთების იჯარის შესახებ • ჩუქების ხელშეკრულება მოქალაქე კოლინდ ჰაროლდ რობერსტონ ნივეთან 32 ერთეული ინგლისური წიგნის თაობაზე • სასაქონლო ზედნადებები შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენთან ინგლისური წიგნების შესყიდვის თაობაზე • სასაქონლო ზედნადებები სახელლმძღვანელოების შესყიდვის თაობაზე • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,სკოლის სივრცეში განთავსებული ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი“ • ინტერვიუ ბიბლიოთეკართან
შეფასება:ა	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას დამზადებული აქვს მოძრავი პანდუსები, რომლებიც განკუთვნილია პირველიდან მესამე სართულზე ასასვლელ კიბეებზე. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, ამდენად, პანდუსები მოხსნილია. თუმცა ვიზიტის დროს სკოლამ ექსპერტთათვის წარმოდგენის შესაქმნელად პანდუსები კიბეებზე განალაგა. პანდუსები იკავებს კიბეების 50 %-ს. ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლისათვის მოწყობილია შენობის პირველ სართულზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • 2015 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან პანდუსების დამზადების თაობაზე, მიღება-ჩაბარების აქტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია შენობის მეორე სართულზე. მასში განთავსებულია ოვალური მაგიდები სკამებით და ინტერნეტში ჩართული 13 კომპიუტერით. ყველა კომპიუტერი გამართულია. სკოლის მფლობელობაშია სულ 50 ერთეული კომპიუტერი და 15 ცალი ბუქი, 4 პროექტორი, 2 ინტერაქტიური დაფა, პრინტერები. სკოლის ვებგვერდია: http://bgs.edu.ge, რომელიც საკმაოდ დატვირთულია და საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლას ჰყავს თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე, მასთან გაფორმებულია ხელშეკრულება. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ინფორმირებისა და კომუნიკაციის“ დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის გაცვლის წესი და სტანდარტი, მშობლებთან ინფორმაციის გაცვლის სტრატეგია. სკოლის თანამშრომლები ჩართულნი არიან საერთო ელექტრონულ საფოსტო ქსელში. ელექტრონული ჟურნალი https://eservices.schoolbook.ge სკოლის ვებგვერდის ნაწილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოძრავი ნივთების იჯარის შესახებ ხელშეკრულება 2012 წლის 1 სექტემბრის • მოძრავი ნივთების იჯარის შესახებ ხელშეკრულებაში 2012 წლის 1 სექტემბრის ცვლილება • ხელშეკრულება ორიენტ ლოჯიკთან კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებით • მარველ ჯორჯიას სასაქონლო ზედნადები კომპიუტერების შესყიდვასთან დაკავშირებით • შპს მილენიუმ დისტრიბუშენ ჯორჯიას სასაქონლო ზედნადებები ტელევიზორების შესყიდვასთან დაკავშირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	• შპს მილენიუმ დისტრიბუშენ ჯორჯიას სასაქონლო ზედნადებები კომპიუტერების შესყიდვასთან დაკავშირებით; • ინტერნეტის მიწოდებისა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • ვებგვერდის დამზადების ხელშეკრულება • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ინფორმირებისა და კომუნიკაციის“ დოკუმენტი • სკოლის ვებგვერდი: www. bgs.edu.ge
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაცვის მიზნით სკოლაში მუშაობს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, ამისათვის სკოლის შენობის სამივე სართული აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებითა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით-ცეცხლმაქრებით, რომლებიც განთავსებულია ევაკუაციის გეგმაში მითითებულ ადგილებზე. ყველა ცეცხლმაქრი ვადიანია და ახალი შევსებული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სკოლა გარკვეული პერიოდულობით ატარებს ცრუ განგაშს. მანამდე კი, როგორც მოსწავლეებს, მათ დამრიგებლებს, სხვა თანამშრომლებს მიეწოდათ დეტალური ინსტრუქტაჟი საგანგებო სიტუაციაში ქცევებისა და მოქმედებების შესახებ. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ საცდელი განგაში ჩატარდა წელსაც, როცა მთელი შენობა დაიცალა იქ მყოფი პირებისგან და ყველა მოგროვდა ეზოში, სტადიონზე 3,6 წუთში. დირექციის განმარტებით, აღნიშნული დრო არც თუ ისე კარგი შედეგია, ამდენად საჭიროა მეტი მუშაობა ამ მიმართულებით. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ,,სალუს პრიმასთან“, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან აქტივობას: სამუშაო სივრცეში არსებული რისკების შეფასებას, რეკომენდაციების მომზადებას, უსაფრთხოების გეგმის შემუშავებას, დასაქმებულთა სწავლებას, ინსტრუქტაჟს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რისკების პრევენციისათვის ღონისძიებების გატარებას, შრომის უსაფრთხოების შესრულების კონტროლს.
	• საგადასახდო ანგარიშფაქტურა შპს ვებექსთან სახანძრო სიგნალიზაციის გამართვასთან დაკავშირებით • ხელშეკრულება და საგადასახადო ანგარიშფაქტურა შპს ,,სალუს პრიმასთან“ • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან • სასაქონლო ზედნადები ცეცხლმაქრების გადატუმბვასთან დაკავშირებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობაში სამივე სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც დამზადებულია შპს უსაფრთხოების ნიშნების მიერ. მოთხოვნათა შესაბამისად, განსაზღვრულია კიდევ ერთი საევაკუაციო გასასვლელი კარი. პირველი სართულის ყველა ოთახის თითო ფანჯარაზე მოხსნილია ყრუ გისოსები, საევაკუაციო გზებზე დამონტაჟებულია ავარიული განათება და საევაკუაციო გზის მაჩვენებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • შპს უსაფრთხოების ნიშნების ინვოისი საევაკუაციო გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, რომელი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მათ შორისაა ისეთი რესურსები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით, მაგ.: სამედიცინო შირმა, ტახტი, მაცივარი-საყინულე, მედიკამენტების შესანახი კარადები საკეტებით, საკაცე, პირველადი დახმარების ჩანთა, დინამომეტრი, კისრის საყელო, სადიაგნოსტიკო ფანარი და ა.შ. სკოლა მუდმივად ზრუნავს სამედიცინო კაბინეტის, მისი რესურსებისა და ინვენტარის განახლებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავს ექიმი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობს სკოლაში. ექიმმა წარმოადგინა მის მიერ წარმოებული სამედიცინო შემთხვევების, გაწეული სამედიცინო დახმარების, მოხმარებული მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალები. სკოლაში შემუშავებულია ,,სასკოლო ჰიგიენის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი", რომელიც არეგულირებს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს, ექიმის მოვალეობებს, სკოლის სამედიცინო კაბინეტის მომსახურეობით მოსარგებლე პირის უფლებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს თბილისი მედიკ-ის სასაქონლო ზედნადები • სს გეფას სასაქონლო ზედნადებები • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,სასკოლო ჰიგიენის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი" • ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ შეიმუშავა ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პოლიტიკის" დოკუმენტი, რომელიც გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად. სამინისტროსგან მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით სკოლამ განაახლა დოკუმენტი და კვლავ შესათანხმებლად გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ამასთან ერთად, სკოლას ჰყავს 4 დაცვის წევრი. მათი მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პოლიტიკის" დოკუმენტი • მიმოწერები სკოლასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის დებულება • დაცვის წევრებთან გაფორმებული ხელშეკრულება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ...
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --- ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის როგორც შიგნით, ასევე გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, მათგან შენობის პირველ სართულზე- 4 კამერა, მეორე სართულზე-4 კამერა, ხოლო მესამეზე- 2 კამერა, სულ 10 კამერა. გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 7 კამერა, შესასვლელში- 2 კამერა, წინა ფასადზე- 2 კამერა, ეზოში სტადიონის მხარეს კედელზე- 2 კამერა, მარცხენა კედელზე- 1 კამერა, სულ გარე პერიმეტრის 7 კამერა, მათგან 4 კამერა შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანების მოთხოვნებს. ვიდეოკამერებში ასახული ინფორმაცია გროვდება კომპიუტერში, რომელიც განთავსებულია სკოლის შესასვლელში და მას აკონტროლებს დაცვა. ამდენად, სკოლაში ვიდეომეთვალყურეობის სისტემებით სრულად დაცულია მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოება
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ვიდეოკამერებისა და ვიდეოსისტემების ფლობისა და დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია • ინტერვიუ დაცვასთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საქმიანობა ემყარება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულ შემდეგ დოკუმენტებს: სკოლის წესდებას, სკოლის დებულებას, სკოლის შინაგანაწესს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკას, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას, ინფორმირებისა და კომუნიკაციია პოლიტიკას, სასკოლო ჰიგიენის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესსა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ფალავა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --- ----- ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შემდეგი დოკუმენტები: • სკოლის დებულება • სკოლის შინაგანაწესი • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა • პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა • ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა • ინფორმირებისა და კომუნიკაცია პოლიტიკა • სასკოლო ჰიგიენის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია განვითარების 6-წლიანი (2016-2022) და ერთწლიანი (2021-2022) გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს შემდეგ მიმართულებებს: ა) სასწავლო პროცესის ორგანიზებას, ბ) პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას, გ) მოსწავლეებში სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებას, დ) მართვისა და სარეკლამო პოლიტიკის სისტემატიზაციას, ე) მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, ვ) ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნას. გეგმებში განსაზღვრულია შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და განსახორციელებელი აქტივობები. ექსპერტთა მოსაზრებით, გეგმები გამომდინარეობს მისიიდან და მორგებულია სკოლის საჭიროებებს. ვიზიტის დროს სკოლის დირექციამ ასევე წარმოადგინა 2022-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. იგი სრულიად ახალ გამოწვევებს სახავს სკოლის წინაშე 5 მიმართულების მიხედვით: 1. სკოლის კურიკულუმის მუდმივი დახვეწა და განახლება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით 2. სკოლის საქმიანობის წარმართვა მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად 3. სკოლა- მოსწავლის, ოჯახისა და თემის აქტიური პარტნიორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	4. თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი არაფორმალური განათლების კურიკულუმის განახლება, მუდმივი განვითარება და დანერგვა 5. სკოლის საქმიანობის ხარისხისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა აღნიშნული სტრატეგიული მიზნები ემსახურება სკოლის მისიისა და ხედვის შესრულებას
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განვითარების 6-წლიანი (2016-2022) გეგმა • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი (2021-2022) გეგმა • სკოლის ექვსწლიანი (2022-2028) სტრატეგიული განვითარების გეგმა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიხედვითაც სკოლაში წარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა, ბრძანებების რეგისტრაცია და აღრიცხვა, ხელშეკრულებების რეგისტრაცია და აღრიცხვა, საარქივო დოკუმენტების აღრიცხვა და შენახვა. სკოლას ჰყავს საქმეთა მმართველი, რომლის მოვალეობები გაწერილია სკოლის დებულებაში. ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ საქმისწარმოების ჟურნალებს, ,,შემთხვევითობის პრინციპით" შეარჩიეს და შეაფასეს ისინი. სკოლაში საქმისწარმოება წესის მიხედვით მიმდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი • ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი • შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი • გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი • ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

რჩევები:	--
ხარვეზები:	---
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლას ჰყავს შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი. საშტატო განრიგის მიხედვით, სკოლაში დასაქმებულია სულ 75 ადამიანი. მათ შორის: სკოლის დირექტორი, ფინანსური მენეჯერი, Person Edexcer-ის საგამოცდო ოფიცერი, დირექტორის თანაშემწე, ფსიქოლოგი, დირექტორის მოადგილე საბაზო და საშუალო საფეხურზე (VII-XII კლასები), დირექტორის მოადგილე დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები), მენეჯერი აღმზრდელობით დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საერთაშორისო პროგრამების მენეჯერი, მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, IT მენეჯერი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მარკეტერი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, საქმეთა მმართველი, ტექნიკური მენეჯერი, სამი დამლაგებელი, ოთხი დაცვის წევრი, 50 საგნობრივი მასწავლებელი. სკოლის მასწავლებლები სტატუსის მიხედვით ასე ნაწილდება: 1-წამყვანი, 30-უფროსი, 13-მოწვეული, 2-მაძიებელი და 4-უსტატუსო. მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 9 საათს. მაძიებელი მასწავლებლების პირადი საქმეების განხილვისას გაირკვა, რომ ერთ-ერთმა მათგანმა დაიცვა დისერტაცია საგნობრივი მიმართულებით და, შესაბამისად, სკოლამ აღნიშნული ინფორმაცია სტატუსის შეცვლის მოთხოვნით გააგზავნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. რაც შეეხება უსტატუსო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლებს, ორი მათგანი ასწავლის სპორტს, სკოლას პარალელურად გამოცხადებული აქვს ვაკანსია აღნიშნულ პოზიციებზე, ხოლო დანარჩენი ორი უსტატუსო მასწავლებელიდან ერთი ასწავლის ისტორიას ინგლისურად, ხოლო მეორე - ცეკვას. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლა პროფესიონალი კადრების მუდმივ ძიებაშია, ძალიან რთულია ინგლისურენოვანი საგნის მასწავლებლის მოძიება, სწორედ ამიტომაც, აღნიშნულიდან გამომდინარე, თანხმდებიან ისინი მოწვეულ მასწავლებლებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის ექიმს მინიჭებული აქვს მკურნალის კვალიფიკაცია, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებს. ამავე დროს სკოლა მუშაობს ამ მიმართულებით: სკოლას გამოცხადებული აქვს ექიმის პოზიციაზე ვაკანსია teachers.jobs.ge-ზე. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ექიმი სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის წარმოადგენს ერთგვარად ოჯახის ექიმს, იმდენად მაღალია მისი კომპეტენციების მიმართ ნდობა. ამიტომ ისინი მოიკვლევენ აღნიშნული ექიმის გადასამზადებელ კურსებს, რათა სკოლისთვის ძალიან ძვირფასი და გამოცდილი კადრი არ დაკარგონ. ძალიან მნიშვნელოვანია სკოლის ადმინისტრაციის ეს დამოკიდებულება თითოეული თანამშრომლისა და ექიმის მიმართ. გუნდურობის კიდევ ერთი დამადასტურებელი სწორედ ეს არის, რომ ისინი ფიქრობენ ერთმანეთის პროფესიულ ზრდას შეუწყონ ხელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • განათლების მართვის სისტემა, Eschool-ბაზა; • თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი; • ინტერვიუ ადმინისტრაციის წევრებთან; • ინტერვიუ სხვა თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	50
მოწვეული მასწავლებელი	13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

მაძიებელი მასწავლებელი	2
უსტატუსო მასწავლებლი	4
უფროსი მასწავლებლი	30
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	--

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მასწავლებლის CV, არის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეები; • განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის -eschool-ის ბაზა; • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს წმინდა გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის შინაგანაწესის თავი IV-ში განსაზღვრულია შემდეგი საკითხი: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა მასწავლებელთან (სკოლაში მასწავლებლის მიღება, კონკურსის მიზანი, კონკურსის პრინციპები, კონკურსის ჩატარების წესი, ღია კონკურსის ჩატარების წესი და ა.შ.). ამავე შინაგანაწესის თავი VIII-ში მოცემულია წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. შინაგანაწესში წარმოდგენილი (მუხლი 25) წახალისების ფორმებია: ა. დირექტორის ბრძანებით მადლობის გამოცხადება ბ. საპატიო სიგელით დაჯილდოება. გ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --- ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. დ. ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. ე. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესის თავი VIII მუხლი 27,28,29,30,31-მთლიანად ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს, სადაც დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ფორმები და შესაბამისი რეაგირება-სახდელები ვადის გათვალისწინებით. საქმისწარმოების წესისა და ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს წახალისების ფორმად ერთჯერად ფულად პრემიას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები შეიცავს ზოგად დებულებას, მხარეთა უფლება-მოვალეობას, სამუშაო დროს, შესვენების დროს, შესვენების მიცემის წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობას და ანაზღაურების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობისა და ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერას. სკოლას 2021 წელს სექტემბერში გაფორმებული აქვს მასწავლებლებთან ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებები. ვიზიტამდე მიღებულ დოკუმენტებში წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება იდენტური იყო სხვა მასწავლებლების ხელშეკრულებების. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ახალი ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილი იყო სტატუსის შესაბამისი ვალდებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები • სკოლის შინაგანაწესი • თანამშრომელთა პირადი საქმეები • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და სხვა თანამშრომლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ. ფალავანდიშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --- ----- ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი (დირექტორის ბრძანება N01/81-20, N01/14-22 ცვლილება შემადგენლობაში). ჯგუფში შედიან სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, ისინი ესწრებიან გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს მასწავლებლებს. გარდა ამისა, თითოეული დეპარტამენტი იკრიბება კვირაში ერთხელ - პარასკევ დღეს და ერთმანეთს უზიარებს გამოცდილებას. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის დღიურის ფორმა, რომელსაც თითოეული მასწავლებელი ავსებს და შესაბამისად გაკვეთილის თემა წინასწარ ცნობილია დეპარტამენტში შემავალი მასწავლებლებისათვის. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მასწავლებლები დადიან დიდ ბრიტანეთში და შემდეგ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. გარდა ამისა, მასწავლებლები ჩართულები არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ ტრენინგებში. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი მუდმივად ეძებენ ადამიანური რესურსის (მაგ. საქმეთა მმართველისთვის, იურისტისთვის) პროფესიული განვითარებისათვის საინტერესო შემოთავაზებებს და მზაობას გამოხატავენ აქტიურად ჩართონ თანამშრომელი და სკოლის ხარჯით დააფინანსონ ასეთი აქტივობა, გასულ წლებში ერთ-ერთი ასეთი შემოთავაზება იყო საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისგან, შესაბამისად, სკოლის ბიბლიოთეკარმა გაირა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი-,,სასწავლო დაწესებულებების და რეგიონალური ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკართა ტრენინგი“. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლის ყველა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი - უსაფრთხოებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაკვეთილზე დასწრების ფორმები; • დეპარტამენტების ოქმები; • თანამშრომელთა პირადი საქმეები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და სხვა თანამშრომლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	• ბიბლიოთეკარის მიერ გავლილი ტრენინგის სერტიფიკატი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ნებისმიერი ინიციატივა ხელშეწყობილია სკოლის დირექციისგან. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის თანამშრომლობითი ატმოსფეროს შესაქმნელად. სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის, სკოლის პერსონალისა და მშობლებისთვის, რაც ხელს უწყობს მათი შესაძლებლობის რეალიზებას. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია მათი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და სისტემატურად და მოსახერხებელი ფორმით ეძლევათ ინფორმაცია მათი შვილისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. მშობლები ერთხმად აღნიშნავენ კმაყოფილებას სკოლის მიერ შექმნილი გარემოს თვალსაზრისით. სკოლაში ტარდება კლასგარეშე ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტოლერანტ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. სკოლაში ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებით განსაზღვრული თანამშრომლობისა, ფორმალური აქტივობებისა, არსებობს არაფორმალური აქტივობებიც. სკოლაში ფუნქციონირებს ასამბლეა-დირექტორის ყოველკვირეული შეხვედრა მოსწავლეებთან აქტუალურ თემებზე, თითოეული კლასისათვის ფიქსირებულ დროს სკოლის დარბაზში-ეს შესაძლებლობას აძლევს დირექტორს, სკოლის მენეჯმენტს მუდმივად ორიენტირებული იყოს მოსწავლეთა საჭიროებებზე, მათ ინტერესებზე. ამავე დროს, მოსწავლე თავს გრძნობდეს სკოლის მნიშვნელოვან წევრად. სკოლა პატივს სცემს ერთობას, გუნდის წარმატება მისი თითოეული წევრის წარმატებაა და პირიქით. ისინი ხმამაღლა საუბრობენ პრობლემებზე და ერთად სახავენ გადაჭრის გზებს. მოსწავლეთა და სკოლის ადმინისტრაციისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ---

ბ.ა.

	მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობის გამოხატულებაა ბევრი აქტივობა, რომლებიც სკოლაში ჩატარდა: 1. საშუალო საფეხურის მოსწავლეების კინოცენტრთან თანამშრომლობა 2. Coats- მზრუნველობამოკლებული 300-ზე მეტი ბავშვის თბილი სამოსით მომარაგება წლების განმავლობაში 3. ვეტერანების მხარდაჭერა 4. 2 ბენეფიციარი მხარდაჭერა-საქველმოქმედო გამოფენების მოწყობა 5. მთაწმინდის ფერდობზე ხეების დარგვა 6. დღის ცენტრთან თანამშრომლობა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუები მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთნ, სკოლის პერსონალთან; • სკოლის შინაგანაწესი; • სასკოლო სასწავლო გეგმა; • მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები (წიგნები) • არაფორმალური აქტივობების დამადასტურებელი მასალა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	---
რჩევები:	---
ხარვეზები:	---
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი, 17 აგვისტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --- ----- ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.